

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ წესარი
ანანიძის, ჰურიე აბაშიძის, ზაზა მიქელაძის, თირნიკე აბულაძის, ავთო შავაძის, მაია
რიუვაძის, ლია დეკანაძის, ელდარ ჯავახაძის, ლელა დეკანაძის, ს(ს)იპ სოლიდარობის
თემის, ა (ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ განცხადებასთან დაკავშირებით
შექმნილი თვითონებულიორების კომისიის გადაწყვეტილება

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

14 ივნისი, 2022 წელი

ქ. ბათუმი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ ა(ა)იპ
სოლიდარობის თემმა, ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის თემმა.

განცხადებასთან დაკავშირებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიასა და რადიო“ -ს 2022 წლის 31 მაისის N 02-09/55 ბრძანებით შეიქმნა
თვითონებულიორების კომისიის შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავჯდომარე- ბესარიონ შერვაშიძე - სსიპ „საზოგადოებრივი
მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მაუწყებლობის განვითარების სამსახურში
სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სპეციალისტი;

კომისიის წევრი - ფირუზ ბოლქვაძე - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, გადაცემის
„მთავარი ეკონომიკაში“ ავტორი და წამყვანი;

კომისიის წევრი- ნათელა გოგიჩაიშვილი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის თანაშემწე - კომისიის წევრი;

კომისიაზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს“
მიერ თვითონებულიორების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების
წესების დაცვით მოწვეული იყო განმცხადებლები ნესარი ანანიძე, ჰურიე აბაშიძე, ზაზა
მიქელაძე, თირნიკე აბულაძე, ავთო შავაძე, მაია რიუვაძე, ლია დეკანაძე, ელდარ
ჯავახაძე, ლელა დეკანაძე, ს(ს)იპ სოლიდარობის თემი, ა (ა)იპ „სოციალური
სამართლიანობის ცენტრი“;

კომისიაზე მოწვეული იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიოს“ შემოქმედებებითი გადაცემების სამსახურის „ერთი დღე
სოფელში“ ავტორი და წამყვანი ნათია თავდგირიძე;

2022 წლის 06 ივნისს შემოქმედებებითი გადაცემების სამსახურის „ერთი დღე
სოფელში“ ავტორმა და წამყვანმა ნათია თავდგირიძემ განცხადებით მომართა და
იშუამდგომლა სპეციალისტების გამოკითხის თაობაზე.

2022 წლის 07 ივნისს სხდომაზე დაკმაყოფილდა ნათია თავდგირიძის
შუადგომლობა სპეციალისტების სახით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესორების -ავთანდილ
გოლიშვილის მოწვევის თაობაზე.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითორებულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მუხლი 7-ის მეორე პუნქტის თანახმად „საქმის ინტერესებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში, კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტები ან მოწმეები. მხარეების ან კომისიის ინიციატივითსპეციალისტის მოწვევის ან მოწმის სხდომაზე გამოძახების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია;

2022 წლის 13 ივნისის სხდომაზე გამოცხადდნენ საჩივრის ავტორები ნესტან ანანიძე, ლია დეკანაძე, ზაზა მიქელაძე;

კომისიისათვის მიწოდებული იქნა შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის „ერთი დღე სოფელში“ ავტორი და წამყვანი ნათა თავდგირიძის მიერ გადაღებული გადაცემა.

ამავე დროს კომისიის სხდომაზე გამოკითხული იქნა შემოქმედებევითი გადაცემების სამსახურის „ერთი დღე სოფელში“ ავტორი და წამყვანი ნათა თავდგირიძე, რომელიც არ დაეთანხმა საჩივარს;

2022 წლის 14 ივნისს სხდომაზე გამოცხადდნენ მოწვეული სპეციალისტები:

ნუგზარ მგელაძე - ისტორიკოსი, ბათუმის შოთა რუსთაველოის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ოთარ გოგოლიშვილის - ისტორიკოსი, ბათუმის შოთა რუსთაველოის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ზაზა შაშიკაძე - ისტორიკოსი, ბათუმის შოთა რუსთაველოის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

კომისიის თავჯდომარემ ბესარიონ შერვაშიძემ გახსნა სხდომა დანიშნულ დროს და გააცნო მოწვეულ სპეციალისტებს წაემოდგენილი საჩივარი.

თვითორებულირების მიზნებიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია იმ გარემოებათა შესწავლა, რომლებსაც მომჩინევანი მხარის პრეტენზია ეფუძნება. ამ მიზნით გაიმართა კომისიის შეხვედრები გადაცემის ავტორთან, მომჩინევანი მხარის წარმომადგენლებთან და სპეციალისტთა ჯგუფან. საჩივარი ეფუძნება პოზიციას: „უზუსტო ფაქტების მანიპულაციური მიწოდებით და ერთიანი კონტექსტის გათვალისწინებით, შინაარსი ქსენოფონიური ხასიათისაა და ქართველი მუსლიმების მიმართ სიძულვილსა და არატოლერანტობას რელიგიური წარმომავლობის ნიშნით აღვივებს“. კომისიამ საჩივარში მოცემული თანმიმდევრობით განიხილა არგუმენტები, რომლების საშუალებითაც მომჩინევანი მხარე საკუთარი პოზიციის დასაბუთებას შეეცადა.

1. დადგენილი ფაქტომრივი გარემოებები:

1.1. 2022 წლის 24 მაისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდგომში - „მაუწყებელი“) დირექტორს განცხადებით (#02-12/149 მომართეს მოქალაქეებმა, ა(ა)იპ სოლიდარობის თემმა, ა(ა)იპ სოხიალური სამართლიანობის თემმა, განცხადებაში მითითებულია, რომ 2022 წლის 14 მაისს მაუწყებლის ეთერში გავიდა სიუჟეტი „ჭვანა-მეჩეთი“ (გადაცემის „ერთი დღეს სოფელში“ ფარგლებში), რომლის

შინაარსი ქსენოფობიური ხასიათისაა, ქართველი მუსლიმების მიმართ სიძულვისა და არატოლერანტობას რელიგიური წარმომავლობის ნიშნით აღვივებს. საჩივრის ავტორების მითითებით დარღვეულია „მაუწყებელთა ქცევის“ კოდექსის რიგი მუხლები და მოთხოვნილია მცდარი ფაქტის შესწორება, მაუწყებლის მიერ ქართული ისლამური კულტურის, როგორც ეროვნული ღირებულების, მნიშვნელობის წარმოჩენა, ასევე მაუწყებელში შიდასამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლისგანაც ურნალისტები მიიღებენ რეკომენდაციების უმცირესობებთან დაკავშირებული თემების გაშუქებისთვის..... (კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს საჩივრის ავტორების 2022 წლის 24 მაისის საჩივარზე N02-12/149)

1.2. აღნიშნული განცხადების (საჩივრის) საფუძველზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2022 წლის 31 მაისის N 02-09/55 ბრძანების თანახმად შეიქმნა თვითრეგულირების კომისია; (კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2022 წლის 31 მაისის N 02-09/55);

1.3. კომისიის მიერ იქნა გადაცემა მთავარში 2022 წლის 14 მაისს გასული გადაცემა „ერთი დღე სოფელში“ რეპორტაჟი „ჭვანა“ – „მეჩეთი“; (კომისია თავის მსჯელობას აფუძნებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ ეთერში 2022 წლის 14 მაისს საღამოს გადაცემა „ერთი დღე სოფელში“ გასულ რეპორტაჟს);

2. დადგენილი სადაო გარემოებები;

2.1. განცხადებლები თავიანთ საჩივარში მიუთითებს სამ უზუსტობაზე, რომელთან დაკავშირებითაც კომისიის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი სადაო ფაქტობრივი გარემოებები:

2.1.1. თავის განცხადება საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ „წამყვანის მიერ გაკეთებული შესავალი აუდიტორიას გასაშუქებელი თემისა და რესპოდენტის მიერ მოსაყოლ ამბავს სანდოობის ხარისხს სმენს და საზოგადოებას ერთგვარად ნაამბობის „ნამდვილობაში“ არწმუნებს. გარდა ამისა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში რელიგიური ნიშნით დაპირისპირება პრობლემურ საკითხად რჩება და ბოლო პერიოდში არაერთხელ იჩინა თავი (ნიგვზიანი, ჭელა, ბუკნარი), რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრა საზოგადოების გამოწვევაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ურნალისტმა შეასრულოს ეთიკური მოვალეობა, რომ ხელი არ შეუწყოს რელიგიური ნიშნით შუღლის გაღვივებასა და სტიგმის გაძლიერებას“.

გადაცემის ავტორმა კომისიას განუმარტა, რომ რესპოდენტის სიუჟეტში მოცემული დახასიათება სოფელში მცხოვრები საზოგადოების დახასიათებას ეფუძნება და რესპოდენტის შერჩევაც ამ საზოგადოების წარმომადგენელთა რეკომენდაციით განახორციელა. გადაცემის ავტორის სიტყვაში ნათლადაა განმარტებული, რომ რესპოდენტი სოფლის ისტორიისა და წინაპართა მონათხოვბის, ანუ სოფელში გავრცელებული გადმოცემების კარგად მცოდნეა. ავტორი მაყურებელს ანდობს ამ გადმოცემების სანდოობის შეფასებას და თვითონ არ ეცდება ამ საკითხში საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ რესპოდენტი ისლამის აღმსარებელია. ეს ინფორმაცია კომისიას გადაცემის ავტორმა შეატყობინა და მომჩივანი მხარის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს კომისიის სხდომაზე. კომისია მიიჩნევს, რომ მაუწყებლის მიერ ისლამის აღმსარებელი ადამიანის მონათხრობის გადაცემაში ტრანსლირება, არ უნდა იქნეს განხილული რელიგიური შუღლის გაღვივებისა და სტიგმის გაძლიერების ხელის შეწყობად. ბუნებრივია, იმის გათვალიწინებით, რომ რესპოდენტის სიტყვებში არსად ფიქსირდება რომელიმე სარწმუნოების საწინააღმდეგო მოწოდება.

2.1.2. მეორე გარემოება, რომელზედაც მხარე მიუთითებს, მდგომარეობს შემდეგში: "ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ თურქებმა აჭარაში შემოსევები დაიწყეს მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში. არ გეგონოთ, რომ მათ მოვიდნენ და უცბათ მოახდინეს ამ სარწმუნოების გავრცელება. დაახლოებით 50-60 წელი დასჭირდა, რომ ეს ხალხი გამაპმადიანებულიყო როცა მოვიდნენ აქ აქ ყოფილა ეკლესია. აქ იყო კარები რომელზეც ჯვრები იყო გამოსახული მოხსნეს და დაკიდეს ახალი კარები."

"ქათამაძის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია და წარმოდგენილი ფრაზები აუდიტორიას უარყოფითად განაწყობს მეზობელი სახელმწიფოს მიმართ, აძლიერებს თურქოფობიულ განწყობებს და როდესაც უურნლისტი ყველას ზომებს მიმართავს დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, იგი თავად ახდენს ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას. ამასთან, მასალიდან ჩანს, რომ აღნიშნული და სხვა ქვემოთ მოცემული ინფორმაციის მთავარი წყაროა სოფელ ჭვანას ადგილობრივი მოსახლე დავით ქათამაძე, რომელთან ინტერვიუსაც წარმოდგენილი მასალა ეყრდნობა."

კომისია არ თვლის, რომ ინფორმაცია მხოლოდ იმიტომ უნდა იქმნეს არასანდოდ მიჩნეული, რადგან მისი ერთადერთი წყარო, რომელიმე ერთი პიროვნებაა. ამისათვის სხვა არგუმენტების არსებობაცაა საჭირო. ისიც მნიშვნელოვანია, რომ მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიის მიერ განხორციელებული აჭარის ტერიტორიის ანექსია, იმდენად დადასტურებული ისტორიული ფაქტია, რომ დამატებით მტკიცებულებასა და ალტერნატიული პოზიციის ძიებას არ საჭიროებს. ვფიქრობთ არც იმან უნდა გამოიწვიოს აზრთა სხვადასხვობა, რომ აჭარაში ისლამის გავრცელებას რამდენიმე ათწლეული დასჭირდა. იმის გათვალიწინებით, რომ კომისიის ეს პოზიცია საკონსულტაციოდ მოწვეულმა ისტორიის სპეციალისტებმაც გაიზიარეს და მომჩივანი მხარის წარმომადგენლებმაც, კომისიამ მიიჩნია, რომ ამ თემის განხილვის გაგრძელების საჭიროება აღარ არსებობდა. რაც შეეხება არგუმენტში დასახელებულ სხვა ფაქტებს. რესპოდენტი გვიამბობს იმ დროს მომხდარი ამბების შესახებ, როცა ჩვენი ქვეყნის მეზობელი და მეგობარი თურქეთის სახელმწიფო არ არსებობდა. შესაბამისად ვერც მონაწილეობას მიიღებდა აღწერილ მოვლენებში, ამიტომაც ამ ამბების გახსენებამ არ შეიძლება თანამედროვე თურქეთის მიმართ ნეგატიური განწყობები აღძრას. ამ ისტორიული პერიოდის გახსენებამ არც თურქოფობიის გაღვივება შეიძლება გამოიწვიოს. საქართველოს ისტორიას პრაქტიკულად არა

აქვს პერიოდი, როცა რომელიმე მეზობელ ან შორს მოსახლე ერებთან სამხედრო დაპირისპირება არ გვქონდა. ჩვენ არა მხოლოდ საჯაროდ ვსაუბრობთ ამ ამბების შესახებ, არამედ ისტორიულ სახელმძღვანელოებშიც გვაქვს შეტანილი. როგორც ნებისმიერი კულტურილი ერი ვცდილობთ გვახსოვდეს ჩვენი ისტორია და პატივი ვცეთ მას. ეს არავითარ შემთხვევში არ შეიძლება ეროვნული შუღლის გაღვივების მცდელობად ჩაითვალოს. ახლა გადავიდეთ საკითხზე, მართლა იდგა თუ არა კონკრეტულ სოფელში ეკლესის შენობა და ნამდვილად დგას თუ არა მის ადგილას ამჟამად მეჩეთი. უნდა აღინიშნოს, რომ როცა რესპოდენტი ამ შემთხვევბისაგან განსხვავებით, გადმოცემა არ უნდა განვიხილოთ როგორც დამტკიცებული ფაქტი. სამაგიეროდ უტყუარი ფაქტია, რომ ასეთი გადმოცემა ნამდვილად არსებობს და უურნალისტი არაფერს არღვეს, როცა რესპოდენტს ამ გადმოცემის თხრობის საშუალებას აძლევს. ამ თემას ერთ-ერთი მომდევნო არგუმენტის განხილვისას დავუბრუნდებით, ახლა ვი გვსრუს ხაზი გავუსვათ კომისიის კიდევ ერთ პოზიციას, რომელსაც ჩვენს მიერ კონსულტაციის მისაღებად მოწვეული ექსპერტებიც იზიარებენ. კაცობრიობის ისტორიას მრავალი შემთხვევა ახსოვს, როცა ახლად გაბატონებულმა რელიგიამ წინა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა ეს ნაგებობები გადააკეთა და სათავისოდ გამოიყენა. ამ ქმედებას მრავალი მიზნზი ჰქონდა. მაგალითად, როგორც წესი, საკულტო ნაგებობებს განსაკუთრებულ, ამ მიზნისათვის ყველაზე მოსახერხებელ, ადგილებზე დგამდნენ, ისლამის მხრიდანაც ცნობილია ამ პრაქტიკის გამოყენების ფაქტები, მაგრამ ეს არაფრით ამცირებს ისლამს სხვა რელიგიებთან შედარებით, რადგან ბევრი სხვა რელიგია, მათ შორის ქრისტიანობაც, ამ პრაქტიკას ჯერ კიდევ ისლამის წარმოშობამდე იყენებდა. ჯვრის სიმბოლოიანი, კარების შესახებ, რომელიც მეჩეთში ეკიდა და შემდეგ გამოცვალეს. ანალოგიური ფაქტების შესახებ ჩვენს მიერ მოწვეული კონსულტანტებისათვის ცნობილია და მათი თქმით შესაბამისი არტეფაქტებიც არსებობს.

2.1.3. “თურქები არ შემოსეულან საქართველოში, სავარაუდოდ რესპოდენტი გულისხმობს ოსმალეთის იმპერიას, რომლის არსებობის პირობებში დღევანდელობისაგან სრულიად განსხვავებული მსოფლიო პოლიტიკური დღის წესრიგი იდგა. აღნიშნულ სიუჟეტში თურქების ამ ფორმატით მოხსენიება საქართველოში ზრდის ანტითურქულ განწყობებს, რაც ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის დამაზიანებელია.”

კომისია ეთანხმება მომჩინება მხარის პოზიციას, რომ რესპოდენტი, თურქეთის კი არა, ოსმალეთის იმპერიის მიერ წარმოებულ დაპყრობით ბრძოლებს გულისხმობს. ეს მითუმეტეს თვალნათელია, რომ რესპოდენტი მეთექვსმეტე-მეჩეთიდმეტე საუკუნის ამბებს ჰყვება და თანაც არ ახსენებს თურქეთის სახლმწიფოს. რაც შეეხება ტერმინი თურქის ხსენებას, ცნობილი ფაქტია რომ თურქები მრავალრიცხოვან ტომობრივ გაერთიანებას წარმოადგენენ. მათი ერთი ნაწილი ოტომანთა იმპერიის სახელმწიფოს წარმომქნელი ძალა იყო.

საქართველოს ისტორიაში ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბებამდეა ცნობილი თუქული ტომების შემოსუვის ფაქტები. ეს ამბები ისტორიაში დიდი თურქობის სახელითაა ცნობილი და რა თქმა უნდა, ამ ამბებს შედარებით ახალგაზრდა თურქ ერთან არავინ აკავშირებს. ამ საკითხში კომისიას კონსულტანტად მოწვეული სპეციალისტებიც ეთანხმებიან. ასე რომ თურქული ტომების წარმომადგენელთა თურქებად მოხსენიება, საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკა და ეს ტერმინი არ აღნიშავს მხოლოდ თურქი ერის წარმომადგენლებს.

2.1.4. "მუსლიმების მიმართ მაჰმადიანის გამოყენება არის შეცდომა და რელიგიურად მიუღებელი. მაჰმადიანი ნიშნავს მაჰმადის ანუ მოციქულ მაჰმედის მიმდევრებს, რაც უხეში შეცდომა. მუსლიმი ნიშნავს ღმერთის მორჩილს, ხოლო მუჰამმედი მუსლიმების მოციქულია და დაუშვებელია მისი გაღმერთვაცება.

კომისიისათვის ცნობილია რომ რელიგია ისლამი, ერთი ღმერთის, სამყაროს შემოქმედის გარდა სხვა არცერთ ღვთაებას არ ცნობს უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოზიცია სხვა მონოთეისტური რელიგიებისთვისაცაა დამახასიათებელი. ქართულ ენაში გავრცელებულია, რომელიმე რელიგიის მიმდევრის, ამ რელიგიის ფუძემდებლის სახელის მიხედვით მოხსენიება. მაგალითად; ქრისტიანი, კრიშნატი, კალვინისტი, ბუდისტი, მოხსენიების ასეთი ფორმა არ გულისხმობს რელიგიის დამფუძნებლის აუცილებლად ღმერთად გამოცხადებას, ამ შემთხვევაში იგულისხმება პიროვნება რომლის მეშვეობითაც საზოგადოება კონკრეტულ რელიგიურ სწავლებას გაეცნო. ისლამის შემთხვევაში ეს პიროვნება, მაჰმადია. შესაბამისად ამ სწავლების მიმდევრებს მაჰმადიანებად მოვიხსენიებთ. მომჩივანი მხარის წარმომადგენლებმა კომისიას განუცხადეს რომ ამის პირდაპირი აკრძალვა ისლამში არ იძებნება.

2.1.5. "ერთ მაგალითს გეტყვით რომ როცა ისინი მოვიდნენ ცხმორისში იქ ყოფილა ძალიან დიდი ეკლესია, თუ არ ვცდები წმინდა გიორგის სახელობის და ეს ეკლესია დაუნგრევიათ იქიდან ხატები გამოუტანიათ და დანდალოს ქვის თაღოვანი ხიდი რომ არის იქ გასავლელზე დაუწყვიათ ვინც ფეხით გაივლიდა და გათელავდა ამ ხატებს, ის უკვე მუსულმანი იყო ხიდს გადაივლიდა და გადავიდოდა მეორე მხარეს და ვინც შემოუვლიდა ირგვლივ და პირჯვარს გადაიწერდა იმას უკვე თავს კვეთავდნენ და მდინარეში აგდებდნენ.

ასეთი, შემხვევაც ყოფილა, რომ ბავშვიანი ქალი მოსულა ის არ მორიდებია თურქების ამ კანონს რაც დაადგინეს მაშინ რომ ვინც არ გაივლიდა თავებს კვეთდნენ შემოუვლია ხატებზე პირჯვარი გადაუწერია და წასულა ხიდისკენ. თურქები მივარდნილან ეს ბავშვი გამოურთმევიათ ხელში ჰაერში აუსროლიათ, ხმლით გადუკვეთავთ ეს ბავშვი, ბავშვი რომ გადაუშვიათ წყალში თვითონ დედამისიც მიყოლია მას და ასეთ სურათზე ხალხი შეშინებულა და თანდათან დაიწყეს სარწმუნოების შეცვლა."

"სიუჟეტის ავტორის მიერ, არ არის გადამოწმებული არც ერთი ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია, თუ რამდენად შეესაბამებოდა რეალობას. მასალაში

ჟურნალისტის მიერ არ ხდება დაზუსტება თუ რა ისტორიულ პელევებს, სამეცნიერო ნაშრომებსა თუ წყაროებს ეფუძნება რესპოდენტის მიერ წარმოდგენილი მონათხრობი. უფრო მეტიც, სიუჟეტში ფორმალურადაც კი არ არის დაცული ბალანსი-ალტერნატიული აზრის სახით.”

კომისიის მიერ კონსულტაციის მიზნით მოწვეულმა სპეციალისტებმა ვერ წარმოადგინეს სიუჟეტში მოყვანილი ამბების უარმყოფელი ან დამადასტურებელი ისტორიულად დამტკიცებული ფაქტები. მათ კომისიას განუმარტეს რომ ოსმალეთის იმპერია ისლამის გასავრცელებლად მუსლიმთა პრივილიგირებულ მდგომარეობაში ჩაყენების მეთოდს წარმატებულად იყენებდა. არამუსლიმინი იხდიდნენ გაზრდილ გადასახადებს, მათ ეკრძალებოდთ იარაღის მშვიდობიან დროს ტარება, არ ჰქონდათ უფლება გარკვეული ფერისა და თარგის ტანსაცმელი ჩაეცვათ. ძალდეატანების ასეთი ფორმების გამოყენება სანდო იტორიული წყაროებითაა დადასტურებული. რაც შეეხება სუჟეტში რესპოდენტის მიერ აღწერილ ამბებს მათ გვითხრეს რომ ზოგიერთ ავტორს, მაგალითად ზაქარია ჭიჭინაძეს, თავიანთ ნაშრომებში აღწერილი აქვთ ანალოგიური ამბები. არც გადაცემის რეპოდენტი ახსენებს რაიმე წყაროებს, რაც გასაგებიცა, ის ყვება სოფელში გავრცელებულ გადმოცემას, რომელიც თაობიდან თაობაში ზეპირი მონაყოლის ფორმით გადადიოდა. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ როცა კომისია მომჩივანი მხარის წარმომადგენლებს შეეკითხა, ჰქნდათ თუ არა რესპოდენტის მონაყოლის სიმცდარის დამადასტურებელი ინფორმაცია უარყოფითი პასუხი მიიღო.

2.1.6. : “მაყურებელი ელოდება, სიუჟეტში ხის მეჩეთის, როგორც ქართული ისლამური კულტურული ძეგლის მნიშვნელობისა და ღირებულების წარმოჩენას, თუმცა აბსოლუტურად რადიკალურ რეალობას ვიღებთ. დავით ქათამაძესთან ჩაწერილი მთელი ინტერვიუს სახით მაყურებელმა იხილა მითებზე დაფუძნებული თხრობა “თურქების” დამმპრობლურ ბრძოლებზე, რომელთა წყარო სრულებით ბუნდოვანია. აჭარის კონტექსტში მსგავსი ტიპის თხრობა აქ მცხოვრები მუსლიმებისთვის და პირადად საჩივრის ავტორებისთვის არის ძალიან დამზიანებელი, რადგან აღვივებს აგრესიას, დაპირსპირებას ადამიანებს შორის (ამაზე მიუთითებსის ფაქტი, რომ კომენტარის დაწერის საშუალება ფეისბუკზე განთავსებულ აღნიშნულ ვიდეოზე გამორთულია, სწორედ ამ მიზეზით).

კომისია მოკლებულია საშუალებას გამოარკვიოს რა კონკრეტული მოლოდინი ჰქონდა მაყურებელს მაგრამ დარწმუნებულია, რომ გადაცემის ავტორს საჩივარში აღნიშნული მოლოდინის შექმნის მცდელობა არ ჰქონია. რაც შეეხებაგანცხადებას რომელსაც საჩივრის ავტორები მუსლიმთა სახელით აკეთებენ, კომისიისათვის ცნობილია მინიმუმ ერთი მუსლიმი რომელიც მათ მოსაზრებას არ იზიარებს. გადაცემის ავტორმა კომისიას განუმარტა რომ ფეისბუკში კომენტარების დაბლოკვა მუსლიმთა უკამაყოფილებით არ იყო გამოწვეული. თუმცა კომისია იზიარებს აზრს, რომ ეს ფაქტი აფერხებს საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის მაყურებელთა აზრის მიწოდების პროცესს და იძლევა რეკომენდაციას ამის აღმოფხვრის საჭიროების შესახებ.

2.1.7. 'მასალა იწვევს საქართველოში, მათ შორის აჭარაში, ქართველი მუსლიმების მიმართ შუღლის გაღვივებას და ჩვენ მიმართ არსებული სტერეოტიპებისა და სტიგმის გაძლიერებას, "რომ შეუძლებელია ქართველი იყოს მუსლიმი, ქართველი მუსლიმების ადგილი საქართველოს წმიდა მიწაზე არ არის, მუსლიმები არიან მოძალადები, ქართველი მუსლიმები უნდა დაუბრუნდნენ ჭეშმარიტ (მართლმადიდებლურ) რელიგიას, საქართველოში არ უნდა აშენდეს მეჩეთი, ისლამი არ არის დღეს აჭარაში მცხოვრები ქართველი მუსლიმების თავისუფალი არჩევანი და ძალით აქვთ მიღებული რელიგია, ქართველი მუსლიმები მეზობელი ქვეყნის ინტერესებს ატარებენ და სხვა მრავალი."

კომისია მიიჩნევს რომ ამ არგუმენტში მოყვანილი დასკვნები საჩივრის ავტორების აღქმებია და არა დადასტურებული ფაქტები. სიუჟეტში არსადაა გაუღერებული ისეთი ფრაზები, რომლებიც გადაცამის აქ აღწერილ პოზიციას დაადასტურებენ. რაც ბუნებრივიცაა, ეს არ გახლავთ მაუწყებლის პოზიცია და ასეთი რამის მაუწყებლის ეთერში გაუღერება პრაქტიკულად წარმოუდგენელია, შესაბამისად არც ხდება და ვერც მოხდება.

2.1.8. 'სოციალურ მედიაში წარმოდგენილი გადაცემის მოკლე სიუჟეტში ავტორი, სასხვათაშორისოდ ორი წინ ამბობს; 'ამ ადგილას, მე რამდენადაც ვიცი იყო ეკლესია და შემორჩენილია საძირკველი', "ანუ მოსახლების ნაწილი არის მუსლიმი და ნაწილი ქრისტიანი

გადაცემის ავტორმა კომისიას განუმარტა, რომ უშუალოდ მის მიერ გაუღერებული ინფორმაცია, მას სოფელში მცხოვრები საზოგადოების წარმომადგენლებმა მიაწოდეს. კომისია თვლის, „რომ ფრაზა“ რამდენადაც ვიცი” არ წარმოადგენს მტკიცებით ფორმას. პირიქით ის მიწოდებული ინფორმაციის დაუზუსტებლობაზე მიუთითებს და ეს ფაქტი არ ადასტურებს რომ ავტორი საკუთარი მოსაზრების თავს მოხვევას ცდილობს. გადაცემის კადრებში აშკარად ჩანს ხის მეჩეთის ქვის საძირკველი, რომელიც ჩვენს მიერ მოწვეული ისტორიკოსების აზრით „არქიტექტურული“ თავისებულების გათვლისწინებით, შესაძლებელია ქრისტიანული ტაძრის შემორჩენილ ნაწილს წარმოადგენდეს, თუმცა საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

3. სამართლებრივი დასაბუთება:

3.1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის N02-03/ 01 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-4 მუხლის თანახმად

1. კომისია მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს შემდეგ საკითხებზე: 1.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამებში მოყვანილი ფაქტების უზუსტობის გამო წარმოდგენილი დავები; 1.2.

- ფაქტების ზუსტი, სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქების ვალდებულების დარღვევისას წარმოქმნილი დავები . . . 1.5 ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევები;" - შესაბამისად სწორედ იმის გამო, რომ განცხადებელი თავის საჩივარში (განცხადებაში) მიუთითებდა, რომ რამდენიმე ფაქტობრივი უზუსტობა იყო წარმოჩენილი" აღნიშნული განცხადება (საჩივარი) მიღებული იქნა წარმოებაში, რათა დადგენილი ყოფილიყო სადაო სიუჟეტში მოყვანილი ფაქტების უზუსტობა;

3.2. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად „მაუწყებელმა დაუფარავად და ობიექტურად უნდა გააშუქოს მასთან და მის პერსონალთან დაკავშირებული საკითხები. მაუწყებელი ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს საზოგადოებისგან შემოსულ ყველა საჩივარს და სათანადო დროში გასცეს თავაზიანი პასუხი. თუ საჩივარში გამოთქმული პრეტენზია საფუძვლიანია, დაუყოვნებლივ გაასწორეთ დაშვებული შეცდომები;" - შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში კომისია ყურადღებით გაეცნო საზოგადოებრივი მაუწყებელში შემოსულ განცხადებას და შესწავლილი იქნა მასში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები;

3.3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის N02-03/ 01 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების 7.8 მუხლის თანახმად „კომისია ვალდებულია საჩივრის განხილვისას გამოიკვლოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯრების საფუძველზე“; - შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში კომისია ყურადღებით გაეცნო საზოგადოებრივ მაუწყებელში შემოსულ განცხადებას, შესწავლილი იქნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის მიერ მოხდა ამ გარემოებათა შეფასება და ურთიერთშეჯრება;

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის N02-03/ 01 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების მე-7-ე მუხლის მე-8-ე პუნქტის თანახმად, („კომისია ვალდებულია საჩივრის განხილვას გამოიკვლოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯრების საფუძველზე“), ამავე დებულების მე-8-ე პუნქტის 1.3. პუნქტის თანახმად, (კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: 1.3. საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ), ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, (2. კომისიის გადაწყვეტილებაში აღინიშნება: 2.1. მისი მიღების დრო და ადგილი, მიმღებ პირთა ვინაობა და საჩივრის წარმდგენი პირის დასახელება; 2.2. კომისიის მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც მოხდა გადაწყვეტილების მიღება; 2.3. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები დ წესები), კომისიამ მიიღო

შესაბამისი გადაწყვეტილებები.

მოთხოვნა1: " მაუწყებლის ქცევის კოდექსის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოვითხოვთ მნიშვნელოვან ფაქტობრივი შეცდომების შესწორებას ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს."

კომისიის შეთავაზების მიუხედავად, მომჩივან მხარეს არ წარმოუდგენია გადაცემაში გასული ინფორმაციის მცდარობის დამადასტურებელი საბუთები, მათ კომისიას განუცხადეს, რომ არა აქვთ მტკიცების ვალდებულება და არც ფაქტობრივი შეცდომების დამამტკიცებელი საბუთები. თავის მხრივ ვერც კომისიამ მოიპოვა ინფორმაცია რომელიც საკამათო ფაქტების მცდარობას დაადასტურებდა. ამის საფუძველზე კომისიამ უარი განაცხადა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მოთხოვნა2: "დაუყოვნებლივ წაშალოთ ყველა პორტალიდან(მათ შორის სოციალურ ქსელ ფეისბუქიდან) 2022 წლის 14 ივნისს, ტელეკომპანია აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის "ერთი დღე სოფელში" ეთერში გასული დავით ქათამაძის ინტერვიუ."

ინტერვიუ არ შეიცავს საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით აკრძალულ მოწოდებებსა და გამონათქვამებს. ასევე არ ასხავს ქმედებას რომლის ეთერში ტრანსლირება აკრძალულია. მაუწყებლის მიერ გადაცემული პროდუქცია არის საზოგადოების მხრიდან ჩვენი მუშაობის შეფასების საფუძველი. ინტევიუს აღება შესაძლებელია რესპონდენტმა აღიქვას მის მიმართ დისკრიმინაციულ ქმედებად. კომისია ადგენს მომჩივან მხარეს უარი ეთქვას ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მოთხოვნა3: "ასევე ღიად და დაუყოვნებლივ, ამის საპირწონედ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უზრუნველყოს აჭარაში არსებული ქართული ისლამური კულტურის, როგორც ეროვნული ღირებულების, მნიშვნელობის წარმოჩენა და ინტერრელიგიური ურთიერთიერთობების მშვიდობიან განვითარებას შეუწყოს ხელი რეგიონსა და საქარათველოში,

მაუწყებელს არავითარი ზიანი არ მიუყენებია ისლამური კულტურისათვის, შესაბამისად ვერ იარსებებს რაიმე საპირწონე ქმედების განხორციელების საჭიროება. რაც შეეხება ინტერრელიგიური ურთიერთობების მშვიდობიანი განვითარების ხელშეწყობას, ამის მოთხოვნის საფუძველი არ არსებობს, რადგან ამას მაუწყებელი თავისი პროგრამული პრიორიტეტებიდან გამომდინარე ისედაც აკეთებს. აქედან გამომდინარე კომისია ადგენს მომჩივან მხარეს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვას.

მოხოვნა4 : "ღიად და დაუყოვნებლივ, აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელში შეიქმნას სტრატეგია და შიდასამუშაო ჯგუფი, რომლისგანაც შურნალიტები მუდმივ რეჟიმში მიიღებენ რეკომენდაციებს როგორ გააშუქონ უმცირესობებთან და აჭარაში კონტექსტში განსაკუთრებით რელიგიურ უმცირესობებთან, მუსლიმებთან დაკავშირებული საკითხები."

მაუწყებელი ზრუნავს თავისი თანამშრობლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ხოლო როდის და რა ფორმით გააკეთოს ეს, ამას მაუწყებლის მენეჯმენტი მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს. ეს მისი პრეროგატივაა. კომისია ადგენს მომჩივან მხარეს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვას.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. 2022 წლის 24 მაისის N02-12/149 ნესტან ანანიძის ჰურიე აბაშიძის, ზაზა მიქელაძის, თორნიკე აბულაძის, ავთო შავაძის, მაია რიჭვაძის, ლია დეკანაძის, ელდარ ჯავახაძის, ლელა დეკანაძის, ს(ს)იპ სოლიდარობის თემის, ა (ა)იპ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“; განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის აქარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერში 2022 წლის 14 მაისს 22:00 საათზე ერთი დღე სოფელში გასულ გადაცემის რეპორტაჟთან დაკავშირებით არ დაკამაყოფილდეს;

2. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება პერლაციის წარდგენის წესით სააპელაციო კომისიაში (სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აქარის ტელევიზია და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოში") გადაწყვეტილების მხარისათვის ჩატარების დღიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მისამართზე ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41 სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აქარის ტელევიზია და რადიოს კანცელარიაში (საქმისწარმოების სამსახურის) წარდგენის მეშვეობით;

კომისიის თავჯდომარე- ბესარიონ შერვაშიძე - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აქარის ტელევიზია და რადიოს“ მაუწყებლობის განვითარების სამსახურში სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სპეციალისტი

კომისიის წევრი - ფირუზ ბოლქვაძე - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აქარის ტელევიზია და რადიოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, გადაცემის „მთავარი ეკონომიკაში“ ავტორი და წამყვანი

კომისიის წევრი- ნათელა გოგიჩაიშვილი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აქარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის თანაშემწე